

## ჩაის ცერემონია

### ჩაის გზა



ჩაის ცერემონია (ფოტო AFLO-სგან)

ჩაის ცერემონია ანუ *ჩანოიუ*, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ჩაის გზა ანუ *ჩადო* ან *სადო*, წარმოადგენს სტუმრების წინაშე დაფუძნული მწვანე ჩაის რიტუალიზებულ მომზადებასა და მათ გამასპინძლებას. სრული ხანგრძლივობის ოფიციალური ჩაის ცერემონია შედგება სტუმრისთვის ერთი სადილისა (*ჩაკაისეკი*) და ორი სხვადასხვანაირად მომზადებული ჩაის (*კოიჩა* და *უსუჩა*) მირთმევისგან, რაც გრძელდება დაახლოებით ოთხი საათი. ამ ხნის განმავლობაში მასპინძელი მთელი თავისი არსებით ქმნის ისეთ გარემოს, რაც მიზნად ისახავს ესთეტიური, ინტელექტუალური და ფიზიკური სიამოვნებისა და გონებრივი სიმშვიდის მინიჭებას სტუმრებისთვის.

ჩაის ცერემონიაში ოსტატობის მისაღწევად მასპინძელმა შეიძლება ათწლეულები დახარჯოს არა მარტო სტუმრების წინაშე ჩაით გამასპინძლების საყოველთაოდ დადგენილი პროცედურების, არამედ ასევე კულტურის, ხელოვნების, პოეზიისა და კალიგრაფიის შესასწავლად. ამასთანავე, ის ეუფლება ყვავილების ერთმანეთთან არაჩეირების ცერემონიას (*იკებანა*), მზარეულობას,

ბადის მოვლას და საკუთარ თავში გამოიმუშავებს თავაზიანობას, საკუთარი თავის უგულუბელყოფასა და სხვის საჭიროებათა მიმართ ყურადღებას.

მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლის მთელი მცდელობა მიმართულია იქით, რომ როგორმე ჩაის ცერემონიის თანამონაწილეებს მოჰგვაროს სიამოვნება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩადოს მეშვეობით სტუმრები თავს ანებივრებენ დროსტარებით. ჩაის ცერემონია იმისთვის არის შექმნილი, რომ თანამონაწილეებმა მიიღონ სიმშვიდე როგორც მათი ყურადღების უმარტივეს ბუნებრივ ასპექტთა სილამაზეზე (შუქის სხივები, წყლის ხმა, ნაკვეთხლის ალი და ა. შ., რაც შედის სადა ჩაის ქოხის დიზაინში) გადატანით, ასევე სამყაროს შემოქმედებით ძალაზე კონცენტრირებით, რისი მანიფესტაციებიც გვხვდება ადამიანურ ძალისხმევაში შექმნას ლამაზი ხელნაკეთი ნივთები.

ჩაის ოთახის საუბრები ძირითადად ეხება ზემოაღნიშნულ საკითხებს. ცერემონიის თანამონაწილეები არ არიან დაკავებული მოკლე საუბრებით ან ჭორაობით, ისინი საუბრისას შემოიფარგლებიან დისკუსიით იმაზე თუ რა წარმომავლობისაა ჭურჭელი და ხოტბას ასხამენ ბუნების გამოვლინებებს.

ჩაის წვეულების, ისევე როგორც მენ ბუდიზმის, მიზანია ვიცხოვროთ აწმყოში და მთელი რიტუალი ისეა მოწყობილი, რომ ადამიანმა თავისი შეგრძნებები მართოს, რათა მთლიანად იყოს ჩართული ჩაის ცერემონიაში და არ იყოს ამქვეყნიური საფიქრალით დამძიმებული.

ხშირად აინტერესებთ, არის თუ არა ჩაის ხანგრძლივი ოფიციალური ცერემონია რეგულარული განტვირთვის საშუალება თავად იაპონური ოჯახებისთვის, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. დღეისთვის იშვიათია იაპონიაში ოჯახი, რომელსაც აქვს ფუფუნება ფლობდეს ჩაის სახლს ან გააჩნდეს მოტივაცია იქ დროის გატარების. ჩაის რიტუალით სიამოვნება, ბუდისტური სამღვდლოების გარდა, ყოველთვის იყო ელიტის პრივილეგია.

შეკითხვაზე, ბევრია თუ არა მათი რიცხვი, ვინც სწავლობს ჩადოს, მიიღებთ დადებით პასუხს. კერძოდ, მილიონობით მდიდარი თუ ღარიბი მამაკაცი და ქალია იაპონიის სხვადასხვა კუთხეში, რომელიც დაოსტატებულია ჩაის მომზადების ასზე მეტ სახეობაში. კვირაში ერთხელ ყოველწლიურად ისინი მიდიან თავიანთ მასწავლებელთან, ესწრებიან ორსაათიან გაკვეთილს არაუმეტეს ოთხი-ხუთი კაცისგან შემდგარ ჯგუფში და თითოეულ მათგანს აქვს თავისი კუთვნილი დრო - მოამზადოს გაკვეთილზე ჩაი ან უბრალოდ იყოს სტუმრის ამპლუაში. შემდეგ ისინი მიდიან სახლში და ერთი კვირის შემდეგ ისევ ბრუნდებიან გაკვეთილზე. ზოგი ამგვარ გაკვეთილებს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ესწრება.

სწავლის პროცესში სტუდენტი სწავლობს არა მარტო ჩაის მომზადების ტექნიკას, არამედ როგორ გააღვივოს ნაკვეთხალი; როგორ მოუაროს ჭურჭელს და მოამზადოს დაფუჭული ჩაი; როგორ დააფასოს ხელოვნება, პოეზია, დაეუფლოს ჭურჭლის წარმოება-გაპრიალების ტექნიკას, ხის ხელობასა და ბაღების გაშენებას; გამოიცნოს ველური ყვავილები და მათი ყვავილობის სეზონი. ასევე სწავლობს საკუთარი თავის სხვისთვის უგულუბელყოფას ანუ ტატამიდან საკუთარი თავის გამოძევებას და ჯერ სხვაზე ფიქრს.

მასწავლებელი უზრუნველყოფს, რომ ყველა მოქმედება დამახსოვრებულ იქნეს სხეულის მიერ და არა მხოლოდ ტვინის მიერ, შესაბამისად სწავლების პროცესში უპირატესობა არ ენიჭება წიგნიდან სწავლას. ტრადიციული ხელოვნებები, როგორცაა ჩაი, კალიგრაფია, ყვავილების შეხამება და საბრძოლო ხელოვნება ყოველთვის ისწავლებოდა ტექსტებისა და სახელმძღვანელოების გარეშე, რაც მიზნად ისახავდა შესასწავლი საგნის არა ინტელექტუალურ შემეცნებას, არამედ მის პრაქტიკაში გათავისებას.

ყოველ კვირა სწავლების რუტინაში რაღაც იცვლება, რომელიც განპირობებულია ჭურჭელისა და სეზონის ცვლებადობით და იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტმა თვითკმაყოფილება არ განიცადოს წვრთნის პროცესში. ამით მას შეახსენებენ, რომ ჩადოს შესწავლა არ შეიძლება მივიჩნიოთ გარკვეული პერიოდის სასწავლო კურსად, იგი თავად ცხოვრებაა. სტუდენტებს ეძლევათ ჩაის წვეულებებზე დასწრების ხშირი შესაძლებლობები. შეიძლება მოხდეს, რომ სტუდენტი არასოდეს დაესწროს ოთხსაათიან ოფიციალურ ჩაის ცერემონიას - ჩაჯის, რომელიც ითვლება მთელი სასწავლო პროცესის დაგვირგვინებად, რადგანაც მათთვის კურსის დახურვაზე უფრო მნიშვნელოვანია თავად სწავლის პროცესი, ცოდნის გაღრმავება, ცოტაოდენი გამოდცილების დაგროვება, შეგრძნებების თანდათანობით დახვეწა ყოველდღიურ სამყაროში არსებული პატარ-პატარა პრობლემების მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად. ჩაის რიტუალის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელს უწყობს ადამიანის თვითრეალიზაციას.

### **ჩადოს ისტორია და ვაბი-ჩას განვითარება**

მას შემდეგ, რაც მწვანე ჩაი შემოვიდა იაპონიაში, დაახლოებით XII საუკუნიდან, მას მიირთმევდნენ მონასტრებში, დიდებულთა და მმართველი სამხედრო ელიტის სასახლეებში. თავდაპირველად ჩაი მიიღებოდა, როგორც სამკურნალო საშუალება ან ისმებოდა მონასტრებში იმ მიზნით, რომ მედიტაციის დროს ფხიზლად ყოფილიყვნენ. ადრეული ფორმის ჩაის ცერემონია წააგავდა ერთგვარ ძვირფასი ჭურჭლის საჩვენებელ გამოფენას ხმაურიანი წვეულებების უზარმაზარ დარბაზებში, სადაც დამსწრე საზოგადოება აგემოვნებდა სხვადასხვა ჩაის სახეობებს. ძენ ბუდისტი ჩაის დიდოსტატების გავლენის შედეგად XIV - XV საუკუნეებში სტუმართა ჩაით გამასპინძლების ტრადიცია გადაიზარდა სულიერად ამამაღლებელ ცერემონიაში და ამ რიტუალის შესწავლით დღეს მილიონობით მოსწავლეა სხვადასხვა სკოლებში დაინტერესებული.

ერთ-ერთმა XV საუკუნის ძენ ბუდისტმა ჩაის დიდოსტატმა, მურატა ჯიუკომ (1422-1502) პირველად დაარღვია ჩვეულება და ჩაატარა ჩაის რიტუალი არისტოკრატებისთვის მოკრძალებულ ოთახში, რომელშიც ოთხნახევარი ნაჭრისგან შემდგარი ტატამის იატაკი იყო. შემდეგი ოსტატი, ვინც დახვეწა ჩაის რიტუალი, იყო სენ ნო რიკიუ (1522-1591). იგი გახლდათ მდიდარი ვაჭრის ვაჟი საკაიდან. ეს უკანასკნელი მდებარეობს ოსაკას მახლობლად და XVI საუკუნეში წარმოადგენდა იაპონიის ყველაზე წარმატებულ სავაჭრო ნავსადგურს. რიკიუს მისმა



წარმომავლობამ ხელი შეუწყო გასცნობოდა მდიდართა ჩაის ცერემონიებს, მაგრამ თავად უფრო დაინტერესდა ჩაის რიტუალისადმი ბერების მიდგომით, რომლებიც ჩაის ცერემონიას აერთიანებდნენ ძენ-ბუდიზმის წეს-ჩვეულებებთან, რომელთა მიზანიც იყო მაღლიერების გამოხატვა ყოველდღიური საღმრთო გამოვლინების მიმართ. ჯიუკოს მსგავსად, რიკიუმ ჩაის ოთახი და მისი მომზადების სტილი გაათავისუფლა ყველა არარსებული ნივთისა თუ დეტალისგან და განავითარა ისეთი რიტუალი, სადაც არცერთი მოძრაობა ან ნივთი არ იყო ზედმეტი.



**ჩაის სმა**

თასის ხელში ადებისას სტუმარი მას ათავსებს მარცხენა ხელის გულზე და ასწორებს მას მარჯვენა ხელით. სტუმარი ჩუმი თავის დახრით გამოხატავს მაღლიერებას მასპინძლის მიმართ და ჩაის გასინჯვამდე, თასის ორნამენტთან ნაწილს ატრიალებს ზურგით თავის ბაგეებისკენ.  
(ფოტო AFLO-სგან)

რიკიუ იმის მაგივრად, რომ გამოეყენებინა იმპორტული წარმოების ძვირფასი ჭურჭელი მდიდრულ დარბაზებში, ამზადებდა ჩაის უბრალო ჩალით გადახურულ ქოხში და იყენებდა მხოლოდ ჩვეულებრივ რკინის ჩაიდანს, უბრალო გალაქულ-ზედაპირიან ჩაის ქოთანს, ჩაის ციცხვს, ზამბუკისგან გამოთლილ მოსარევ კოვზს და ჩაის სმისთვის გათვალისწინებულ ჩვეულებრივ ბრინჯის თასს.

რიკიუს სტილის ჩაის ოთახის ერთადერთი დეკორაციაა ნიშში დაკიდებული გრაგნილი ანდა დადგმული ყვავილებიანი ლარნაკი. დეკორაციების ნაკლებობის გამო, ცერემონიის მონაწილეებს მეტი დრო და საშუალება ეძლევათ კარგად გაეცნონ *ჩადოს* დეტალებს და შეიგრძნონ მათ წინაშე თუ გარშემო არსებული სისადავის სილამაზე.

ამგვარი ჩაის ცერემონიის ძირითადი არსი არის ვაზის ცნებაში ("ვაზი" სიტყვასიტყვით ნიშნავს „სიმართლევს/მიტოვებულობას“). ძენის ფილოსოფიის მიხედვით, სიმართლევსა და სიღარიბეში ვპოვებთ დიდ სიმდიდრეს, რადგან მხოლოდ ამ მდგომარეობაში ვახერხებთ ჩვენს შინაგან სამყაროში ჩახედვას, სადაც შეგვიძლია მივაგნოთ ჭეშმარიტ სულიერ განძს, რომ ადამიანი არანაირად არაა დამოკიდებული მატერიალურ საგნებზე.

ამის გამო, რიკიუს ჩაის ცერემონიის სტილს უწოდებენ *ვაზი-ჩას*.

რიკიუს გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილიშვილმა და მოგვიანებით კი მისმა სამმა შვილთაშვილმა გააგრძელა რიკიუს ჩაის ცერემონიის ტრადიცია. მანამდე კი ზოგიერთი სამურაი ბატონების ზეგავლენით *ვაზი-ჩას* სხვა სახეობებიც განვითარდა, რადგან სამურაების მაღალი სოციალური სტატუსი მოითხოვდა ჩაის ცერემონიაში უკვე ნაცადი ძვირფასი აღჭურვილობის გამოყენებასა და უფრო დახვეწილ მანერებს, ვიდრე ეს იყო წარმოდგენილი სადა *ვაზი-ჩაში*. მას შემდეგ მრავალი ახალი ჩაის სკოლა შეიქმნა, მაგრამ *ვაზი-ჩა* რჩება ყველაზე მნიშვნელოვნად სულიერების თვალსაზრისით. 1868 წლის დასაწყისში, როდესაც მეომართა კლასი გაუქმდა იაპონიაში, ძირითადად ქალბატონები დაეუფლნენ ჩაის ცერემონიის

ხელოვნებას. ჩაის რიტუალის შესწავლა გახდა სავალდებულო ყველა ახალგაზრდა ქალისთვის, რათა გამოემუშავებინათ დახვეწილი მანერები და ესთეტიურობის შეგრძნება. ამავდროულად, პოლიტიკური თუ ბიზნეს ლიდერები და ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერები იყენებდნენ ჩაის ცერემონიას შესაბამისად განსატვირთად ანდა სახვითი ხელოვნების ნიმუშებისა და ხელნაკეთი ნივთების შესაგროვებლად.

ყველაზე დიდი ჩაის სკოლები დღეს არის ურასენკე და ომოტესენკე, ორივე დაარსებულია რიკიუს ორი შვილთაშვილის მიერ. მათი ძალისხმევითა და სხვა დიდი სკოლების დამსახურებით, დღეს ჩადო ისწავლება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და იაპონიაში ყველა, როგორც ქალბატონები ისე მამაკაცები, მას ცხოვრებისეული გამოცდილების მომცემ უდიდეს სკოლად მიიჩნევენ.

### ჩაის წვეულება



ჩაის ჭურჭელი (ფოტო AFLO-სგან)

სრული ხანგრძლივობის ოფიციალურ ჩაის ცერემონიაზე (ჩაჯი) სტუმრები პირველად იკრიბებიან მოსაცდელ ოთახში, სადაც მათ მართმევენ მხოლოდ ფინჯან ცხელ წყალს, რომელიც შემდეგ ჩაის დასამზადებლად იქნება გამოყენებული. შემდეგ ისინი გადიან ლილვთან, ბაღში და ელოდებიან მასპინძლის მხრიდან მისაპატიჟებელ მისალმებას, ეს გახლავთ უხმოდ თავის დახრა შესასვლელ კარებთან. ამის შემდეგ სტუმრები გადაადგილდებიან ქვის ხელსაბანი აუზისკენ, სადაც ისინი წყლით დაიბანენ ხელ-პირს და მოხრილნი შედიან დაბალი კარის

(ნიჯირიგუჩი) გავლით ჩაის ოთახში, რაც მათ შეახსენებთ, რომ ისინი ყველა თანასწორნი არიან.

სტუმრებს ძალიან მოსწონთ ნიშში დაკიდებული გრაგნილი. როგორც წესი, მასზე გამოსახულია ტექსტი ძენ-ბუდისტი მოძღვრის კალიგრაფიით. ისინი იკავებენ თავიანთ ადგილებს და მუხლმოდრეკილები სხდებიან ტატამზე (ჩალის საფენიან იატაკზე). წესისამებრ, მისალმების შემდეგ მასპინძელი ცეცხლს შეუკეთებს ხის ნახშირს და მოიტანს სეზონური საჭმელებიდან ერთ უბრალო სადილს იმ მიზნით, რომ სტუმარს დაუამოს შიმშილით გამოწვეული შესაძლო ტკივილი. ამას მოჰყვება მსუყე ტკბილეულობა.

ამის შემდეგ სტუმრები ისევ ბრუნდებიან ლილვთან და ელოდებიან შემდეგ მიპატიჟებას ჩაიზე. ჩაის ჭურჭელი, კოვზი და ჩაის თასი სიმბოლურად იწმინდება და ხმადაბალი რიტმული მოძრაობები საშუალებას აძლევს სტუმრებს ჩაიძირონ სიმყუდროვეში. სქელი კონსისტენციის ჩაი, ე. წ. კოი-ჩა, მზადდება მშვიდ გარემოში. საგულდაგულოდ მომზადებული სასმელი

ჩამოტარდება მაგიდის გარშემო, რათა თითოეულმა სტუმარმა მოსვას ერთი ყლუპი. ერთი თასის განაწილება ყველასთვის სიმბოლურია და ემსახურება ერთიანობის შეგრძნებას წვეულებაზე. *კოი-ჩას* ჩამოტარების შემდეგ, მასპინძელი ისევ შეუკეთებს ცეცხლს ხის ნახშირს, უმასპინძლდება სტუმრებს ამჯერად მშრალი იაპონური ტკბილეულით და მათთვის უფრო თხელი და ქაფიანი კონსისტენციის ჩაის (*უსუ-ჩა*) ამზადებს. ამ ბოლო ფაზაში ოთახის სოციალური ატმოსფერო შემსუბუქებულია და სტუმრები ერთგვარიან გახსნილ საუბრებში, რომელიც კვლავ კონცენტრირებული რჩება ჭურჭელსა და მონაწილეთა განწყობაზე.

მთავარი სტუმრის ვალდებულებაა, რომ წარმოადგინოს დამსწრეთა ინტერესები და მათ ნაცვლად დასვას კითხვები წვეულებისთვის შერჩეული თითოეული ჭურჭელისა და დეკორაციის შესახებ და უნისონში იმოქმედოს მასპინძელთან, რითაც ის უზრუნველყოფს წვეულების სრულყოფილ ჩატარებას ისე, რომ არაფერმა გაანელოს სტუმართა აღმაფრენა.

### ჩაით გამასპინძლება

ჩაის ცერემონიაზე ჩაის მიღება ზოგიერთი წესის დაცვით უნდა მოხდეს. ამ წესებს უწოდებენ *ტატემესა* ან *ტემეს* და ძირითადად ეხება მასპინძლისადმი მაღლიერების გამოხატვას. ბლანტი ანუ *კოი-ჩასა* თუ გამჭვირვალე ანუ *უსუ-ჩას* მომზადება განსხვავებულ პროცედურებს მოიცავს, მაგრამ ორივე შემთხვევაში ჩაი მიგვაქვს სუფრასთან თასის წინა ანუ სახიანი ნაწილით სტუმრისკენ, ე.ი. იმ მხრით სტუმრისკენ, სადაც თასის მოჭიქურება ან ნახატი ყველაზე ლამაზია და მოიაზრება მის ყველაზე საუკეთესო დეტალად. სტუმარი აფასებს თასის სილამაზეს და ყურადღებას აქცევს, რომ არ დასვაროს თასის ეს ლამაზი ნაწილი სმის დროს.

როდესაც *კოი-ჩაით* მასპინძლობენ, ყველა სტუმარი ერთი თასიდან მიირთმევს. თავდაპირველად თასის ხელში მიწოდებისას, ის უნდა დადგათ თქვენსა და თქვენს გვერდით მჯდომ სტუმარს შორის და თავი დახაროთ მასპინძლის წინაშე. შემდეგ უნდა აიღოთ თასი მარჯვენა ხელით და მოათავსოთ იგი მარცხენა ხელის გულზე და ასწიოთ ის ოდნავ მაღლა, ამის შემდეგ, მაღლობის ნიშნად ისევ უნდა დახაროთ თავი. იმის გამო, რომ თავი აარიდოთ ჩაის თასის წინა მხრიდან დაღევას, მოიმარჯვებთ თასი ხელში ისე, რომ მისი წინა მხარე ზურგით მოექცეს თქვენი ტუჩებისკენ და მხოლოდ ამის შემდეგ მოსვით ცოტა. ჩაის დაღვევის შემდეგ, შეგიძლიათ თასი დადგათ თქვენს წინ *ტატამზე*, მოიხსნათ კიმონოს გულმკერდზე მიბნეული ქალაღდის პირსაწმენდი და გაწმინდოთ თასი თქვენი ნაპირალისგან, შემდეგ ისევ აიღოთ თასი ხელში, დაიდოთ მარცხენა ხელისგულზე, შემოატრიალოთ წინა მხრით შემდეგი სტუმრისკენ, მიაწოდოთ მას და კვლავ დახაროთ თავი.

*უსუ-ჩა* მომზადებულია თითოეული პიროვნებისთვის ინდივიდუალური წესით. რაც შეეხება ბლანტ ჩაის, თასის მიღებისას დადგით ის თქვენსა და შემდეგ სტუმარს შორის ტატამზე და დახარეთ თავი იმის მობოდიშების ნიშნად, რომ პირველი თქვენ შესვამთ. შემდეგ დაიდგით ჩაით სავსე თასი თქვენი მუხლების წინ და მორიგი თავის დახრით მაღლობა მოუხადეთ

მასპინძელს. ორჯერ შემოატრიალეთ თასი თქვენსკენ ისე, რომ თასის წინა ანუ ორნამენტური მხარე თქვენსკენ არ მოექცეს. როდესაც სრულად გამოცლით თასს, გაწმინდეთ თქვენი ნაპირალი ადგილი თითოებით, შემოატრიალეთ თასი ისე, რომ მისი წინა მხარე ისევ მოექცეს თქვენსკენ. დადგით თასი დაბლა, თქვენს წინ *ტატამზე*, შემდეგ მუხლებზე იდაყვების დაყრდნობით ისევ აიღეთ იგი ხელებში და დატკბით მისი ცქერით. შემდეგ ისევ დადგით თასი *ტატამზე* და შეაბრუნეთ მთავარი ორნამენტით მასპინძლისკენ.

როგორც წესი, სტუმარს ჩაის ცერემონიაზე მიაქვს დაკეცილი ხელსახოცების პაკეტი, რაც გამოადგება ტკბილეულისთვის, მის მიღებამდე დროებით დასადაბად. სველი ანუ მსუყე ტკბილეულობის გადმოსაღებად სპეციალური ნამცხვრის ასაღები გამოიყენება, მაშინ როცა მშრალ ნამცხვარს პირდაპირ ხელით მიირთმევენ.